

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან
ურთიერთობის განყოფილების
მიერ 2021 წელს გაწეული
საქმიანობის ანგარიში

თბილისი
2021

შპს გურამ
თავართქილამის
სახელობის
თბილისის
სასწავლო
უნივერსიტეტი

საანგარიშო პერიოდში მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უშუალო მონაწილეობითა და ორგანიზებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- უნივერსიტეტის კორპორატიულ ვებ-გვერდზე დასაძებად მომზადდა და განთავსდა 79 ინფორმაცია(NEWS)უმაღლეს სასწავლებელში საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქტივობების შესახებ;
- საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ვებ გვერდის **YouTube** არხზე განთავსდა ონლაინ საჯარო ლექციების, ვებინარების, სხვადასხვა ტელევიზიებში სტუმრობის და სარეკლამო რგოლები - სულ: 59
- ორგანიზება გაეწია სხვადასხვა ტელეკომპანიებში („იმედი“; „TV პირველი“ , „ფორმულა“, „პოსTV“) უნივერსიტეტის წარმომადგენელთა სტუმრობას - 7 სიუჟეტი;
- სოციალური ქსელისათვის მომზადდა 8 სარეკლამო ვიდეო რგოლი უნივერსიტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულებზე;
- სოციალურ ქსელში გასაშვებად მომზადდა 11 სარეკლამო ვიდეო რგოლი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე;
- 2021 წ. 5 თებერვალი: დაიგეგმა და მომზადდა „კარიერული განვითარების ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ ონლაინ განათლების ფორუმი „**სწორი არჩევანი**“ უნივერსიტეტის საიმიჯო-სარეკლამო პრეზენტაცია;
- 2021 წლის 31 მაისი-7 ივნისი: ფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მომზადდა და ორგანიზება გაეწია უნივერსიტეტში სპეციალურად ფსიქოლოგებისათვის ტრენინგი სახელწოდებით „**პედაგოგიური ფსიქოდიანგნოსტიკა და კონსულტირება**“;
- 2021 წ. 15 ივნისი: დაიგეგმა და ორგანიზება გაეწია „**პროფესიული ორიენტაციის პროექტს**“, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით სასწავლო კურსი გაიარეს დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმა. შესაბამისად, პროექტის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები;
- 2021 წ. ნოემბერი: „**კარიერული სკოლის**“ პროექტის ფარგლებში ორგანიზება გაეწია დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის მომზადებულ თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსს. 23 დეკემბერს დაგეგმილია პროექტის მონაწილეებისათვის სერტიფიკატების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი;
- 2021 წ. 19 მარტი: დაიგეგმა და უნივერსიტეტში ჩატარდა ფოტოსესია. გადიარჩა, დამუშავდა და დაარქივდა შესაბამისი ფოტომასალა ვებ გვერდისა და სოციალური ქსელებისათვის;
- 2021 წ. 27 სექტემბერი: ტურიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა უმასპინძლა საქართველოში საქმიანი ვიზიტით მყოფ ჰონგ კონგის ტელევიზიის წარმომადგენლებს; დაიგეგმა და ორგანიზება გაუკეთდა მათ საქმიან და პროფესიული კუთხით ძალიან საინტერესო შეხვედრას უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სყუდენტებთან;
- 2021 წ. 23 ოქტომბერი: სამცხე ჯავახეთში ჩატარდა „**პურის ფესტივალი**“ რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებმა;

- 2021 წ. 21-22 ოქტომბერი: დაიგეგმა და ორგანიზება გაუკეთდა სპეციალურად საბავშვო ბაღბის, სკოლების, მოსამზადებელი ცენტრების პედაგოგებისათვის ონლაინ ტრენინგი სახელწოდებით „**ინოვაციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში**“;
- 2021 წ. 14 ივლისი და 27 სექტემბერი: დაიგეგმა და ორგანიზება გაეწია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი გივი ლობჯანიძე) მიერ გამოცემული წიგნების „**დიდი ნიკო ნიკოლაძე**“ და „**დიპლომატიური და საკონსულო სამართალი**“;
- აბიტურიენტების მოზიდვის კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა და ორგანიზება გაეწია ინფო ტურებს დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის. უნივერსიტეტმა უმასპინძლა კერძო სკოლა „პროგრესის“, 122-ე, 129-ე, 191-ე, 79-ე და აბიტურიენტების მოსამზადებელი ცენტრის მოსწავლეებს;
- ორგანიზება გაეწია სპეციალურად აბიტურიენტებისათვის მომზადებულ ონლაინ მოსამზადებელ კურსებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიასა და უცხო ენაში;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების პერიოდში განყოფილება აქტიურად იყო ჩართული აბიტურიენტებთან განსახორციელებელი სასწრაფო სატელეფონო კომუნიკაციის კამპანიაში და აბიტურიენტებს ვაწვდიდით ზოგად თუ კონკრეტულ ინფორმაციას მათთვის საინტერესო საკითხებზე;
- მიწვეული ვიყავით და ჟიურის რანგში მონაწილეობა მივიღეთ საერო საჯარო სკოლა „**ლომისის**“ ინტელექტუალურ თამაშში **რა? სად? როდის?** გავაკეთეთ პრეზენტაცია უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების, გაცვლითი პროგრამებისა და მიმდინარე თუ სამომავლო გეგმების თაბაზე. დასასრულს ინტელექტუალური თამაშის ყველა მონაწილეს გადავეცით უნივერსიტეტის ლოგოს გამოსახულებიანი ბრენდირებული საჩუქრები;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 35 ონლაინ ლექცია და ვებინარი. მათ შორის 21 იყო მოწვეული სპიკერი;
- 2021 წ. 2 დეკემბერი: პანდემიის ყველა რეგულაციის გათვალისწინებით ორგანიზება გაეწია ოფლაინ საჯარო ლექციას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სტუდენტებისათვის;
- უნივერსიტეტის რეკლამირების მიზნით, ორგანიზება გაეწია ინფლუენსების მონაწილეობით PR აქტივობებს - მათ შორის, online ფორმატში ჩატარდა გათამაშება; დაგეგმილია ინფლუენსერ სოსო ნებიერიძის მონაწილეობით სთორის ჩაწერა ტურიზმის სპეციალობის გასაპიარებლად;
- მიმდინარეობს მზადება და უახლოეს დღეებში ინსტაგრამზე გავუშვებთ ტიკ ტოკ პლატფორმას;
- დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით ტიკ ტოკზე დაგვემატა 1000-მდე ფოლოვერი;
- განხორციელდა უნივერსიტეტში დაგეგმილი და ჩატარებული ყველა ღონისძიების ფოტო და ვიდეო უზრუნველყოფა და, შესაბამისად, მოხდა შეკრებილი მასალების დაარქივება;
- ყოველდღიურად მიმდინარეობს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის კორპორატიული ადმინისტრირება-განახლება;
- 2021 წ. 28 მაისი: ორგანიზება გაეწია სტუდენტთა XII სამეცნიერო-შემოქმედებითი ონლაინ კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებას.

მონაწილეებისათვის დამზადდა სერტიფიკატები და გადაეგზავნათ ნომინაციებში გამარჯვებულთ;

- 2021წ. 25 მაისი: ორგანიზება გაეწია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგის „განათლების სფეროში პერსონალური ბრენდის მნიშვნელობა და მისი განვითარების საფეხურები“ ჩატარებას;
- 2021წ. 14 მაისი: ორგანიზება გაეწია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე და თანამედროვე სამართლის გამოცანები“ ჩატარებას.
კონფერენციის მუშაობაში, ქართველ სპეციალისტებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ სამართლის სფეროს აკადემიური წრის სწარმომადგენლები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, თურქეთიდან და უკრაინიდან. კონფერენციის მონაწილეებისათვის მომზადდა სერტიფიკატები და დაეგზავნათ მონაწილეებს;
- ითარგმნა და უნივერსიტეტის ინგლისურენოვან ვებ გვერდის ახალი ამბების ბლოკში განთავსდა ნათარგმნი მასალები (სულ: 41 გვერდი).
- ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის სოციალური ქსელისა და ვებ გვერდისათვის დამზადებული და განთავსებული ბანერების ჩამონათვალი დანართების სახით.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, განყოფილება აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

10.12.2021 წ.